ლალი გულედანი

სურამი ისრაელის ქართულენოვან მწერლობაში[1]

რეზიუმე

ებრაელები სურამში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. მათ ყოველთვის სწამდათ, რომ ისინი 2600 წლის წინ პირველად მოსულ ებრაელებს მიეკუთვნებოდნენ და იმთავითვე დასახლდნენ აქ. ისინი ყველაზე ძველ ტერიტორიაზე, სურამის ციხის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ცალკე უბნად სახლდებოდნენ და სახაზინო, საბატონო და საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა - ხელოსნობა იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არც სოფლის მეურნეობას არიდებდნენ თავს, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ებრაული იდენტობის ძირითადი მარკერი თემის წარმომადგენლების საქმიანობა - აღებ- მიცემობაა, რაც ზოგადად საქართველოს მასშტაბით ებრაელობის მთავარი მახასიათებელი იყო საუკუნეების მანძილზე. სურამის სტრატეგიულმა მდებარეობამ და შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკურ რუკაზე აქტიურმა ჩართვამ ხელი შეუწყო და დააჩქარა ურბანიზაციის პროცესი და საბოლოოდ ჩამოაყალიბა აქ ქართული ებრაული თემი. ისე როგორც მთელს საქართველოში, ტრადიციებს ნაზიარები სურამის ებრაელობა მტკიცედ იცავდა ებრაული რელიგიური ცხოვრების წესს ოჯახებში და ბიბლიურ ტრადიციებს თემის სალოცავ სინაგოგაში.

საკვანძო სიტყვები: *სურამი, ებრაელები, ურბანიზაცია, რკინიგზა, ისრაელი*

სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. შორეულ წარსულში აქ გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომლის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების შრომებში გვხვდება. მათ აღწერებში ხაზგასმულია ზოგადად საქართველოს როლი უძველესი პერიოდის მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში, რომლის დასაბამი, როგორც ცნობილია, ფინიკიელებთან იძებნება. მათი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო მარშრუტი კავკასიისკენ იყო მიმართული, სადაც ღირსეულ პარტნიორად ითვლებოდა საქართველო, საიდანაც გამოჰქონდათ ოქრო, კალა (ბრინჯაოს გასაკეთებლად), ტყვია, ვერცხლი და სხვა. საისტორიო წყაროებში აღნიშნულია ისიც, რომ განსაკუთრებულად ფასობდა ფოლადი, რომლის შემუშავება მაშინ არცერთმა სხვა ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა. საქართველოში კი, სადაც რკინის მეტალურგია პირველად გამოიგონეს, ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარი დროიდან. ბერძენ-რომაელი მწერლების თქმით, ეს ქვეყანა ძველთაგანვე განთქმული ყოფილა თავისი სიმდიდრით. აქაური ნიადაგის სასარგებლო წიაღისეულებს აღტაცებაში მოჰყავს ისინი. დაწვრილებით არის აღწერილი ქართველების სამეურნეო საქმიანობა, ტანსაცმელი, იარაღები და ა.შ. აღნიშნული და დახასიათებულია უძველესი პერიოდის სავაჭრო გზები და სწორედ ამ ჩამონათვალში არის მოხსენიებული სურამი. კერძოდ, „სტრაბონი ამბობს: 7-8 ვერსის მანძილზე ფაზის შესართავითგან სავაჭრო ნავები თავისუფლად დადიოდენ, შემდეგ (მეტადრე შორაპნიდამ) საქონელი ხმელეთით გადაჰქონდათ სურამდე (სურამი) და იქიდგან მტკვრით კასპიის ზღვამდე“.[2]

ქვეყნის მასშტაბით დაბა სურამი საქართველოს ცენტრშია, რაც ხელს უწყობდა მის ჯანსაღ და მრავალმხრივ განვითარებას. ასეთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ულამაზესი

---

[1] სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-21 19474 „ებრაელთა თვალით დანახული საქართველო: „ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“).

[2] მოსე ჯანაშვილი, ჟამი ძიებისა და განსჯისა - CORE .
chrome- extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://core.ac.uk/download/pdf/15532825.pdf

ბუნებრივი პირობები ამ ადგილს ყოველთვის ძალიან მიმზიდველს ხდიდა, სადაც ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან სახლობდა ადამიანი. ანტიკური ხანიდან კი დასავლეთ-აღმოსავლეთის (აზია-ევროპის) სავაჭრო გზის გააქტიურებამ მცირე დასახლება ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად გარდაქმნა.

მე-17 საუკუნის მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც 70-იან წლებში საქართველოსაც ეწვია, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში არ არის ბევრი ქალაქი და ჩამოთვლის ქართლის შემდეგ ქალაქებს: „სურამი, ალი, გორი და ტბილისი. სურამი, რომელიც უფრო რომ ციხე იყო და გორის ნახევარს შეადგენდა“- აღნიშნავს იგი.[3] 1770 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობის სტატისტიკური ცნობებით ქართლ-კახეთში სულ 8 ქალაქი ყოფილა. მათ შორის სურამიც არის დასახელებული.[4]

ებრაელები სურამში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. მათ ყოველთვის სწამდათ, რომ ისინი 2600 წლის წინ პირველად მოსულ ებრაელებს მიეკუთვნებოდნენ და იმთავითვე დასახლდნენ აქ. ისინი ყველაზე ძველ ტერიტორიაზე, სურამის ციხის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ცალკე უბნად სახლდებოდნენ და სახაზინო, საბატონო და საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა - ხელოსნობა იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არც სოფლის მეურნეობას არიდებდნენ თავს, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ებრაული იდენტობის ძირითადი მარკერი თემის წარმომადგენლების საქმიანობა - აღებ-მიცემობაა, რაც ზოგადად საქართველოს მასშტაბით ებრაელობის მთავარი მახასიათებელი იყო საუკუნეების მანძილზე.

სურამის სტრატეგიულმა მდებარეობამ და შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკურ რუკაზე აქტიურმა ჩართვამ ხელი შეუწყო და დააჩქარა ურბანიზაციის პროცესი და საბოლოოდ ჩამოაყალიბა აქ ქართული ებრაული თემი. ისე როგორც მთელს საქართველოში, ტრადიციებს ნაზიარები სურამის ებრაელობა მტკიცედ იცავდა ებრაული რელიგიური ცხოვრების წესს ოჯახებში და ბიბლიურ ტრადიციებს თემის სალოცავ სინაგოგაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაცია: „...სურამის ებრაელნი საკმარის რიცხვს შეადგენს. იგინი მისდევენ აღებ-მიცემობას და მეურნობას, ფულის გასესხებაც იციან, მაგრამ არა ძვირად, არამედ მცირე სარგებლით. ცხოვრება მათი კარჩაკეტილია ისევე, როგორც სხვა ებრაელთა. აქვსთ თორა, ჰყავსთ ხახმები და რაბინიც. მათი ბავშვების უმეტესი ნაწილიც ჩვეულებრივის სწავლით რჩება, ე.ი. უსწავლელად...იგინი თავიანთის ძველის ცხოვრების წესებით დღემდე ასე მაგრა დაშთნენ და არსად ბევრი არაფერი დაკარგეს... 2200 წლის განმავლობაში მათ თვინიერ ებრაულის ენის გარდა სხვა არაფერი დაკარგეს“. ავტორი ამის ძირითად მიზეზად ასახელებს „ქართველ სამეფოს ჰუმანურ მხარეს“ და ინდიფერენტიზმს და დასძენს, რომ „ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ საქართველოში ერთი ებრაელიც ვერ შეინახავდა თავს „.[5]

საქართველოში XIX საუკუნემდე ებრაელების რაოდენობის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც რუსეთის რეზიდენტს გადაეცა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სადაც ვკითხულობთ: „...არს ქალაქი სურამი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი... ებრაელი არის 40 კომლი...“. [6]

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასა და ეთნიკურ შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას ნაწილობრივ ავსებს უცხოელ მოგზაურთა ნაშრომები (იაკობ რაინეგსი, ჟაკ

---

[3] ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIIIსს., ჟურნალი „პრომეთე“, #1, 1918, გვ.36

[4] იქვე, გვ38

[5] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში,თბილისი, 1904, გვ.60

[6] ვ.გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. საქართველოს მეც. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, თბილისი, 1973, გვ.151-152

ფრანსუა გამბა და სხვანი), თუმცა მათთანაც სურამის შესახებ რაიმე საგულისხმო ინფორმაცია არ დასტურდება. ასე, რომ მართალია, საქართველოში ებრაელების რაოდენობის განსაზღვრა ცალკეული პერიოდებისთვის შეუძლებელია,[7] მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ დემოგრაფიულ ცნობებს, XIX საუკუნის ბოლოსთვის ებრაელების რაოდენობასა და მისი ზრდის მაჩვენებლებს სხვა ეთნოსებთან ურთიერთკავშირში განვიხილავთ, სავარაუდოდ XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში 6 ათასი ებრაელი ცხოვრობდა.[8] იგივე მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. კ.ანთაძე. [9] როგორც ჩანს, XVIII საუკუნეში სურამის მოსახლეობას ქართველები, სომხები და ებრაელები შეადგენდნენ.

რუსეთის იმპერიაში 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში 12,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, 1926 წლის აღწერით კი - 30,2 ათასი. საქართველოში ებრაელები ყველაზე დიდი რაოდენობით აღირიცხება 1970 წელს - 55,4 ათასი. ამ პერიოდიდან კი იწყება ებრაელების საცხოვრებლად გადასახლება უმეტესად ისრაელში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით ხასიათდება. შედეგად კი 1979 წელს საქართველოში 28.3 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს 24,8 ათასი. 2002 წლის აღწერით მათი რაოდენობა მხოლოდ 4 ათასს უდრის.

ცნობილია, რომ საქართველოდან ებრაელების ემიგრაციის პიკს წარმოადგენს 1970 წელი. მხოლოდ 1971 - 1974 წლებში, 4 წლის განმავლობაში, საქართველოდან ისრაელში 25 320 ებრაელი წავიდა.[10] 80-იანი წლების შეზღუდვების შემდეგ 90-იან წლებში "ალიის" ანუ რეპატრიაცის ტალღა განახლდა, რამაც გამოიწვია საქართველოში ებრაელთა რაოდენობის მკვეთრი კლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად მიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს.[11] ებრაელების შემთხვევაში საქართველოდან პირველი მიგრაციის მიზანი ძირითადად იდეის - მამა-პაპათა ქვეყანაში, ისტორიულ მიწაზე დაბრუნების, განხორციელება იყო, ხოლო 90-იან წლებში კი ამ იდეას დაემატა საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებაც.

ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, სურამშიც ებრაელთა მდგომარეობა გართულდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს საქართველოში შეიცვალა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია - ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალიზმით, გაიზარდა მოსახლეობა, განვითარდა საქალაქო ცხოვრება, დაკარგულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, განვითარდა სკოლების ქსელი, გაყვანილ იქნა რკინიგზა და ამავდროულად არ ცხრებოდა გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები. შექმნილმა რეალობამ ზეგავლენა მოახდინა სურამელი ებრაელების ცხოვრებაზეც. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა გამუდმებით ცდილობდა დაეპირისპირებინა ებრაელი და ქართველი მოსახლეობა, ხდებოდა დარბევები განსაკუთრებით საყურადღებოა ებრაელთა ცილისწამებლური დადანაშაულების სურამის პროცესი (1850 წ., „სისხლის შარი"), რაც განაპირობა იმან, რომ ზოგიერთი გაუთვითცნობიერებული ადამიანი მაინც ავლენდა ხოლმე ბნელ და რელიგიურ უცოდინრობაზე დამყარებულ უარყოფით დამოკიდებულებას ებრაელებისა და მათი ადათ-წესების მიმართ. იმ პერიოდის დარბევების მიზეზი კი იყო მასობრივად დამკვიდრებული წარმოდგენა ებრაელების მიერ ქრისტიანი ბავშვების მოტაცებისა და წამების შესახებ, რასაც მოჰყვა ქართველების მხრიდან ებრაელებზე გახშირებული თავდასხმები და მათი სასტიკად ცემა-შევიწროება, რაც საქართველოში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. რუსეთის მცდელობებს რაიმე გარდამტეხი და სერიოზული

---

7 ვ.ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII- XIX საუკუნეებში, „მეცნიერება, თბილისი, 2008.

8 ა.თოთაძე, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა", უნივერსალი, თბილისი, 2009, გვ.188-197; გვ. 192

9 კ.ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ.146

10 ა. თოთაძე, გვ. 193

11 დემოგრაფია, სახელმძღვანელო, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გვ.227

შედეგი არ მოჰყოლია ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობაში. ანტისემიტიზმმა საქართველოში ევროპის წამყვანი ქვეყნებისგან განსხვავებით გასაქანი ვერ ჰპოვა.

გარდა ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ფაქტორებისა, სურამის ურბანული განვითარების პროცესზე გარკვეული გავლენა ებრაელთა სოციალურ ფაქტორსაც უნდა მოეხდინა, განსკუთრებით გლობალიზაციის პერიოდში, როცა კაპიტალისტურმა წარმოების წესმა სრულყოფილი სახე მიიღო. აგრარული სექტორი, რომელიც მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა, სავაჭრო-სააღებმიცემო ურთიერთობით ჩანაცვლდა. ფართოვდებოდა შიდა ბაზარი, იზრდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა, რომელშიც მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კუთხე ჩაება. საქართველოს კუთხეებს შორის თანდათან მზარდი ეკონომიკური კავშირები ბოლოს უღებდა ადრინდელ კარჩაკეტილობას. იზრდებოდა და ფართოვდებოდა ვაჭართა ფენა. სავაჭროსთან ერთად, ვითარდებოდა სავახშო კაპიტალი[12].

ამ პროცესებში აქტიურად ჩართული იყო და თავისი წვლილი შეიტანა სურამის ებრაელობამაც, თუმცა კარგად გამოიკვეთა სურათი თუ თანდათან როგორი აგრესიული გახდა ებრაელების მიმართ განწყობა მათი ძლიერ სავაჭრო ფენად ჩამოყალიბების პირდაპირპროპორციულად, ებრაელების საქმიანობისა (ვაჭრობა, მევახშეობა) და ძლიერი ეკონომიური მდგომარეობის გამო.[13]

სურამის ურბანიზაციის პროცესში ებრაელების როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ აკრძალა ვაჭრობა, ე.წ. სპეკულანტობა, საქონლის გადაყიდვა, რაც დასჯადი გახდა, საქართველოს ებრაელობამ არ უღალატა ტრადიციულ საქმიანობას და შიშისა და ნერვიულობის ფონზე გააგრძელა იგი. რა ფასად უჯდებოდა სურამელ ებრაელს თავისი საქმიანობის წარმართვა კარგად არის გადმოცემული ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც ვკითხულობთ:

„ეს ის დრო იყო, უცხოური ტანსაცმელი მხოლოდ დახლს ქვემოდან რომ იყიდებოდა და ცეცხლის ფასი ედო. ახლა, უცხოური ტანსაცმლის შემომტანებს ბიზნესმენებს და კომერსანტებს რომ ვეძახით, ადრე ამ საქმით სურამელი ებრაელები იყვნენ დაკავებულები და მათ ქორვაჭრებს და სპეკულანტებს ეძახდნენ. მათგან მიჰქონდათ "საქონელი" მაღაზიებს და წვრილ მოვაჭრეებს მთელს საქართველოს ტერიტორიაზე." ხშირად დაგეგმილი შემოწმების დროს მათ წინასწარ აფრთხილებდნენ და ებრაელები "საქონელის" გადამალვას ახერხებდნენ, თუმცა ბევრ მათგანს ყოველთვის არ უმართლებდა და მძიმე სასჯელს თავს ვერ არიდებდნენ.[14]

ამ საკითხზე თავის მოგონებებში იგივე მოსაზრებას გამოთქვამს მწერალი იზოლდა მოშიაშვილი. მის თხრობაშიც განსაკუთრებული ყურადღება სურამელების საქმიანობაზეა გამახვილებული. იგი წერს, რომ სურამს უწოდებდნენ „პატარა მოსკოვს", რადგან იქ ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა. ვაჭრობა სურამში ძირითადად დასვენების დღეს, კვირას იმართებოდა ხოლმე. ხარისხიანი და მოდური ტანსაცმელი საქართველოს სავაჭრო ცენტრებში არ იყიდებოდა და ხალხი ხელიდან არ უშვებდა ამ ხელსაყრელ შესაძლებლობას - დილითვე მიიჩქაროდნენ უცხოეთიდან ჩამოტანილი საქონლის შესაძენად. მისი თქმით, სალოცავის წინ ტერიტორია ითვლებოდა სურამელთა „სავაჭრო ცენტრად", სადაც გადამყიდველებს კლიენტებისთვის მოჰქონდათ ნაირ-ნაირი საქონელი და იმართებოდა გაცხოველებული ვაჭრობა... „ხშირად მილიციის მუშაკები „შემთხვევითი ვიზიტით" თავს ადგებოდნენ ვაჭრობის აზარტში შესულ მყიდველ-გამყიდველს. იქმნებოდა პანიკა და სხვადასხვა მოულოდნელი არასასიამოვნო სცენები, რომელიც ბოლოს ისევ გამყიდველთა ცრემლის ღვრით მთავრდებოდა...".[15]

---

[12] ნ. ჩიქოვანი..., იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-19180, თბილისი, 2014. გვ.17

[13] ლ.გულედანი..., ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, ებრაელები საქართველოში: ისტორიულ - ლიტერატურული წიაღსვლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2022, გვ.25

[14] https://scroll.ge/21376/ardashel-thaqthiridze-alia/

[15] ი. კრიხელი, სურამული სიზმარ-ცხადი, თელ-ავივი, 2017, გვ.420

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგს აღებ-მიცემობისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების პირობებში მოვაჭრეების ურთიერთობამ ერთ ძალიან საინტერესო და უნიკალურ ლინგვისტურ თავისებურებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც თავდაპირველად ქუთაისის ებრაელობის მეტყველებაში გვხდება, ხოლო მალევე მთელი საქართველოს ებრაელთა, მათ შორის სურამელების სავაჭრო ურთიერთობაში დამკვიდრდა. იმის გამო, რომ სავაჭრო პროცესი გასაიდუმლოებურ ხასიათს ატარებდა, მათ ერთმანეთს შორის შეიმუშავეს საიდუმლო საკომუნიკაციო ენა, რომელსაც არგოტული მნიშვნელობა ჰქონდა. ანუ, შეიქმნა ებრაელთა „საიდუმლო-სავაჭრო ენა“, რაც არ იყო გასაგები არაებრაელთათვის. ამ თავისებური, პირობითი ენის დანიშნულებას, უმთავრესად, კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოს დაცვა წარმოადგენდა. ეს იყო ებრაული სიტყვების ძირებზე ქართული პრეფიქს-სუფიქსების დართვით მიღებული ლექსიკური ერთეულები. მკვლევარ ილია პაპისიმედოვს მაგალითად მოჰყავს სიტყვა “ვისოხარე“, რაც ქართულად ნიშნავს: “ვივაჭრე.“ მკვლევარის თქმით, ის წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისაგან “სოხერ“ - ვაჭარი. ამ შემთხვევაში, პაპისიმედოვის აზრით, სიტყვის ძველებრაულ ძირს დაერთვის „ვი“ და „ე“ ქართული აფიქსები. იგი განიხილავს 107 ასეთ სიტყვას და დართული აქვს მათი ქართული შესატყვისები[16].

ცნობილია, რომ ურბანიზაციის პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა საქალაქო მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა. სურამელი ებრაელები კი სამეურნეო საქმიანობას მოწყვეტილი, ოჯახის სარჩენად აღებ-მიცემობით დაკავებული, ნელ-ნელა ჩამოყალიბდნენ სამოქალაქო მოსახლეობად. ისინი ადგილობრივებში გამოირჩეოდნენ მრავალშვილიანობით და ამავდროულად, იმდენად დაიხვეწნენ ვაჭრობაში, ისეთი კონტაქტები დაამყარეს მეზობელ ქვეყნებთან, რომ ამ თვალსაზრისით გარკვეულ უპირატეს ვითარებაში აღმოჩნდნენ რეგიონში. სურამი ის ადგილი იყო, სადაც ყველანაირი დეფიციტური საქონლის ყიდვა შეიძლებოდა. იგი ამ ნიშნით გამოირჩეოდა და გარკვეულწილად თანამედროვე კომერციული ცენტრის დატვირთვა მიიღო.

ურბანიზაციის პროცესში სურამის ებრაული მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი იყო, რაც თუ არ ჩავთვლით ერთეულ გამონაკლის შემთხვევებს, საკმაოდ მშვიდობიან პირობებში მიმდინარეობდა. ქართველებთან საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა სურამელი ებრაელის სახე, რომელიც სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულად მეტყველებს, ქართულ სამოსს იცვამს, გარკვეულ ქართულ ტრადიციასაც მისდევს, და ამავე დროს, მტკიცედ იცავს ებრაული რელიგიური ცხოვრების წესს და სხვებისგან გამორჩეულია ამით.

სწორედ მშობლიურ ადგილებში ქართველებთან ასეთმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ განაპირობა ის ტკბილი მოგონებები და ძლიერი ნოსტალგია, რაც სურამელ ებრაელებს ისრაელში ასვლისას საქართველოდან გაჰყვათ. მათგან ძალიან ბევრი ისრაელშიც წარმატებულია თავისი საქმიანობით სხვადასხვა დარგში. ზოგი მათგანი შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. ინტელიგენციის დიდი ნაწილის შთაგონების წყარო ქართული სინამდვილის მონატრებაა, რაც რეალისტურად აისახა მათ ნაწარმოებებში, სადაც სხვადასხვა ჭრილში ვხვდებით სურამის თემასაც.

მაგალითისთვის, ისრაელში ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ერთ-ერთმა წარმომადგენლმა იზოლდა კრიხელმა წიგნით „სურამული სიზმარ-ცხადი“[17] უკვდავყო სურამში მე-20 საუკუნეში მცხოვრები ებრაელობა, რომლებმაც ქართველ ხალხთან ერთად გადაიტანა ამ უმძიმესი პერიოდის სისასტიკე. წიგნში მიუკერძოებლადაა აღწერილი სინამდვილე, დაწვრილებით და საოცარი სიზუსტითაა ნაჩვენები ყოველი მოვლენა, დახატულია სურამის მომაჯადოებელი ბუნება და სხვადასხვა ადამიანთა პორტრეტები. ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს და შთამომავლობას შემოუნახოს იმ ებრაელთა სახელები, რომლებიც დაიბადნენ სურამში და თავისი ღირსეული საერო თუ სასულიერო მოღვაწეობით წვლილი შეიტანეს

[16] ი. პაპისმედოვი, საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიიდან, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.3, თბილისი, 1945.

[17] ი. კრიხელი, სურამული სიზმარ-ცხადი, თელ-ავივი, 2017.

საქართველოს აღმშენებლობით საქმიანობაში. წიგნში გადმოცემულია განვლილი ეპოქის სურამის ისტორიის მოკლე მიმოხილვები და ასახულია ამ მოკლე პერიოდის სურამელი ებრაელების ყოფა. მრავლისმთქმელია და ამ ორი ერის ერთმანეთთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ასევე სურამის დიდ სიყვარულს ასახავს წიგნის სათაურიც - ავტორი სურამში ცხოვრობდა, ცხადში იყო და ისრაელი ესიზმრებოდა, ეხლა ისრაელშია და სურამი ესიზმრება...იგი აღნიშნავს, რომ სჯერა იმ მიწისა და წყლისა, რომლითაც მისი წინაპრები იკვებებოდნენ, ჰაერისა, რომლითაც სუნთქავდნენ; სხვაგვარად ეს წიგნი არ დაიწერებოდა.

წიგნი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ დოკუმენტურად არის ასახული სურამის ურბანიზაციის პროცესის ხელშემწყობი მოვლენები, სურამელების საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტები, რაც ერთგვარ მტკიცებულების სახეს იღებს და ლოგიკურად ჯდება საქართველოში მიმდინარე ზემოაღწერილ პროცესებში. ამ ტიპის ინფორმაცია ძალიან ფასეულია მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა მემატიანე ძალზე ძუნწი გამოდგა სურამის ებრაელთა ყოფიერების აღწერაში. აი რას გვიამბობს სურამის შესახებ საქართველოში მიმდინარე ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებთან მიმართებით იზოლდა კრიხელის წიგნი:

საქართველოს ორ ნაწილად ყოფს ამიერკავკასიის მთის ფერდობზე შეფენილ წიწვნარ-ფოთლოვან ტყეებში მიმავალი ვიწრო გზა, რომელსაც სურამის უღელტეხილი ეწოდება. სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობის გამო იგი ცენტრალურ როლს ასრულებს წარსულიდან მოყოლებული დღემდე, თუმცა გზის გაყვანამდე მოსახლეობის გადაადგილება ამ გზაზე დიდი ხიფათის შემცველი იყო. 1890 წელს დასრულდა წიფის ორლიანდაგიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც იმდროისთვის უნიკალურ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მის გახსნას ესწრებოდა თვით რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამე. 1923 წელს სურამის უღელტეხილი შეუერთდა ელექტროფიკაციის ქსელს და 1932 წელს შემოვიდა პირველი ელმავალი. სოხუმ-ადლერის სარკინიგზო ხაზის გახსნის შემდეგ წიფის გვირაბი გადაიქცა უდიდესი სარკინიგზო ხაზის ერთ-ერთ მთავარ კვანძად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ამ მონაკვეთის რეკონსტრუქცია და განახლებული იქნა სურამის უღელტეხილის საავტომობილო გზაც და სარკინიგზო მაგისტრალიც. ეს იყო უდიდესი პროგრესული რევოლუცია ამ გზების მიმდებარედ მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესების საქმეშიც. სურამი წარსულშიც და თანამედროვე პირობებშიც ითვლება საკურორტო დაბად მისი ბუნებრივი რესურსების (სამკურნალო წყალი, ჰაერი) გამო, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას. აქ ომის შემდგომ პერიოდში ორი მნიშვნელოვანი საავადმყოფო გაიხსნა: სურამის სამხედრო ჰოსპიტალი გადაკეთდა ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოდ და ასევე, ტრავმატოლოგიური საავადმყოფო, რომლის შენობა მე-19 საუკუნის ბოლოს აუგიათ ტუპერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ, შემდგომ რკინიგზის პატარა სადგურთან სიახლოვის გამო ტრავმატოლოგიურ სამკურნალო ცენტრად გადაუკეთებიათ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სურამის (ლიხის) უღელტეხილის სიგრძით 10 კილომეტრიან სარკინიგზო გვირაბს, რომელიც საექსპლოატაციოდ გასული საუკუნის 50-იან წლებისთვის გადაეცა. მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, ამ უნიკალური გვირაბის მნიშვნელობა დღემდე ფასდაუდებელია ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. მაშინ კი ძალზედ მომგებიანი აღმოჩნდა შექმნილი რეალობა სურამის უღელტეხილთან ახლოს მდებარე რაიონებისთვის. გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა, განვითარდა მიმოსვლა, ურთიერთობები, აღებ-მიცემობა, რამაც ხელი შეუწყო რაიონების ზრდას, როგორს მოსახლეობის მხრივ, ისე ეკონომიკურადაც. ახლო-მახლო მცხოვრებმა ებრაელობამაც იწყო სურამის ციხის მიდამოებსა და მის მიმდებარე ინტერნაციონალის ქუჩაზე ბინების შეძენა, დასახლება და პატარა, შეზღუდული მოცულობის საწვრილმანო ვაჭრობის წამოწყება... უცხო თვალს მიფარებულებმა დაიწყეს თავისთვის „ჩალიჩი“(ანუ აკრძალული საქმიანობა - ვაჭრობა-მევახშეობა).

სურამელი ებრაელებისთვის სასიკეთო შემობრუნების ფაქტად იქცა 60-იანი წლების დასაწყისი, როცა რკინიგზის მაგისტრალზე დაინიშნა ყოველდღიური სპეციალური მატარებელი - „თბილისი- სურამი“. სურამელ ებრაელობას მიეცა საშუალება ხშირად ჩასულიყო თბილისში,

შეესწავლა სავაჭრო ცენტრები და ჩამოეტანა სურამში ახალმოდური, ლამაზი და ხარისხიანი საქონელი - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული და სხვა... განსაკუთრებული მოთხოვნა გაჩნდა ბავშვის ტანსაცმელზე. იმავე მიზნით, უცხო და ძვირფასი საქონლის საშოვნელად, მათ თანდათან გზა გაიკვლიეს უფრო შორს - რუსეთის ცნობილი ქალაქებისკენ, განსაკუთრებით კი მოსკოვისკენ, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ებრაელებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ თვითმფრინავით საქონლის ჩამოტანა ძალიან სარისკო იყო, ისინი ძირითადად მატარებლით მგზავრობდნენ. ასე შეიქმნა ახალგაზრდების გამორჩეული ფენა, რომელიც ამ საქმიანობით გამდიდრდა და განსაკუთრებულად დაფასებული გახდა სურამის საზოგადოებაში. წიგნში აღწერილია ასეთი გამდიდრების თანმდევი პროცესი საბჭოთა სინამდვილეში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის ძალით იკრძალებოდა ვაჭრობაც და შინამრეწველობაც და არსებობდა ჯაშუშებისა და სპეციალურად გადაცმული აგენტების ქსელი, რომლებიც ჩასაფრებულები იყვნენ ვაჭრებისა და „სპეკულანტების“ გამოსავლენად. თუ ასეთი ებრაელი პოლიციას ხელთ ჩაუვარდებოდა, მათ იჭერდნენ და განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ.

ცნობილია ის ფაქტი, რომ ციხეში მოხვედრისგან თავის დაღწევის მიზნით ებრაელები ყველაფერს აკეთებდნენ, შეეძლოთ გაეღოთ მთელი ქონება და როგორც ავტორი აღნიშნავს, ამას აკეთებდნენ „უპირველეს ყოვლისა, ებრაული ტრადიციების დაცვისა და მათი შესრულების შესაძლებლობის მოსალოდნელი დაკარგვის გამო“. [18]

მართლაც, სურამში რელიგიური ცხოვრება მთელი სისრულით ჩქებდა და ყოველ ებრაელს გათავისებული ჰქონდა თავისი რელიგიური ვალდებულებები. წიგნში გადმოცემულია ებრაელების სალოცავი სინაგოგების ისტორიაც, აღწერილია რელიგიური დღესასწაულები, დაწვრილებით არის გადმოცემული სურამელი ებრაელების რიტუალური მზადება ფესახისთვის. თავდაპირველად ებრაელებს ერთი სალოცავი ჰქონიათ, მაგრამ ჯამაათის მომრავლებასთან ერთად აუცილებელი გამხდარა მეორე და შემდგომში მესამე სალოცავის აგებაც. საბჭოთა რეჟიმის ანტირელიგიური პოლიტიკის გამო დიდი პრობლემები შეექმნათ როგორც სურამის სალოცავებს, ისე რაბინებს. ებრაელთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად თანდათან ფუნქცია დაკარგა სინაგოგამაც, რომლის კარი ამჟამად დაკეტილია და იშვიათად იღება მხოლოდ სტუმრად ჩამოსული სურამელი ებრაელებისთვის.

მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ი.კრიხელი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

1922 წელს სურამში 1000 ებრაელი სახლობდა, 1926 წელს - 1190, 1939 წელს - 1496 და 1970 წელს - 1640. ეს რიცხვები თანხვედრაშია საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობაში ებრაელების რიცხვის ზრდის ზემოთ მოყვანილ მაჩვენებელთან, თუმცა ავტორის მიერ მითითებულია, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის სურამს ებრაელთა მხოლოდ ათიოდე ოჯახი შემორჩა და როგორც ერთ-ერთი ქართველი რესპონდენტი აღნიშნავს “წავიდნენ ებრაელები და სურამში ყველაფერი ჩაკვდა“[19], თუმცა თანამედროვე, 2020 წლის დაბა სურამის გენერალური გეგმის ტექსტში ის შემდეგნაირად არის დახასიათებული: „დაბა სურამი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ ხაშურის მუნიციპალიტეტში, სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 740-760 მ-ზე. მას სტრატეგიული მდებარეობა და მნიშვნელობა გააჩნია. ის რიკოთის უღელტეხილის აღმოსავლეთით, იმერეთისა და შიდა ქართლის მხარეთა შორის, ხარაგაულისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარეობს. დაბა სურამი ესაზღვრება ქალაქ ხაშურს, რომელიც საავტომობილო გზებისა და სარკინიგზო გზაგასაყარის გამო, საკვანძო ქალაქის ფუნქციას ასრულებს. სურამი საქართვლოს ერთ-ერთი მთავარი საავტომობილო გზის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე საერთაშორისო მნიშვნელობის გზა - ს1), კერძოდ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზის გასწვრივ არის განვითარებული. აღნიშნული გზის გასწვრივ არსებული დასახლებები წარმოადგენს საქართველოს განსახლების ძირითად ღერძს, ხოლო ამ განსახლების ღერძის ნაწილი, ხაშური-სურამისა და მიმდებარე სოფლების მონაკვეთის სახით, ხაშურის

[18] იქვე, გვ.39

[19] მენორა, #5(199), მარტი11-19, 2005.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის მქონე ცენტრია“.[20] ამავე წყაროს მიხედვით, თანამედროვე სურამის თემში, რომელსაც წარმოადგენს დაბა სურამი და 5 სოფელი, ებრაელების რაოდენობა წარმოადგენს 334-ს, რაც სურამის მთელი მოსახლეობის (11118) 3%-ია.[21] ასე, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სურამი კვლავაც რჩება მნიშვნელოვან საკურორტო და სტრატეგიულ ცენტრად საქართველოში.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ისრაელელი მწერალი, ვინც სურამში დაიბადა და გაიზარდა, გვერდს ვერ უვლის ახალგაზრდობის დროინდელ ქალაქს და მნიშველოვან ადგილს უთმობს მას თავის შემოქმედებაში. მწერალი იზოლდა მოშიაშვილი თავის მოგონებებში ვაჭრობის ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდის გარდა ეხება სხვა საკითხებსაც. იგი იხსენებს სურამში გატარებულ ახალგაზრდობის პერიოდს, განსაკუთრებული სითბოთი ახასიათებს ამ ქალაქსა და მის ბინადარ ებრაელებს: “სურამის ებრაელები მეტისმეტად კეთილშობილი, მტერ-მოყვარის გამკითხავი და გამჩენის მოყვარულები იყვნენ“- წერს იგი. მწერალი დიდი სიყვარულით იხსენებს სურამის მშვენიერ ბუნებას, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სურამულ ისტორიებს, ისრაელში მათი გამგზავრების წინა პერიოდს, როცა ცდილობდა ქართულ-ებრაული მწირი ლექსიკის დასწავლას. მისთვის სურამში გატარებული ყოველი დღესასწაული ლამაზი, ხოლო ყოველი შაბათი კი ყველაზე წმინდა და მშვენიერი იყო.

ასევე, როგორც ისრაელის, ისე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე სურამში დაბადებული სიმა ჯანაშვილი თავის შემოქმედებაში, მის მიერ გამოცემული ოთხივე წიგნის ფურცლებზე,[22] გადმოსცემს ორი სამშობლოსა და ორი ხალხისადმი წლების მანძილზე ნალოლიავებ და სიყვარულად ნაჟურ დიდ გრძნობას. მის წიგნში „ვარდის ფურცლობა“ მაღალპოეტურად არის გადმოცემული თბილისისა და სურამის მონატრება, დეტალურად არის აღწერილი მისთვის საყვარელი ადგილები: ბავშვობის უბანი, ჩახრუხაძის ქუჩა, სიონი, მეტეხი, ანჩისხატი, ერეკლე მეფის სასახლე, მთაწმინდა და ა.შ. იქვე, ახლოს მტკვარი, პოეტის ფიქრთა მესაიდუმლე. განსაკუთრებული მღელვარებით მოხსენიებულია სურამი, მისი ნაკადულები, სურამის ციხე და ციხის ძირში ბაბუამისის სახლი...

ამრიგად, სურამის თემაზე დაწერილი ქართველი ებრაელების შემოქმედების გაცნობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა დატვირთულია უდიდესი მონატრებისა და სიყვარულის ემოციით, გამორჩეულია ინფორმაციულადაც, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმ პირობებში, როცა მემატიანე ძუნწად გადმოგვცემს ამბებს ამ ქალაქის შესახებ. ეს ერთ-ერთი გზაა სურამელი ებრაელების ცხოვრების, მათი საქმიანობისა და პიროვნული ჩამოყალიბების პროცესის გასააზრებლად, რითაც შესაძლებელია განისაზღვროს სურამის განვითარების საკითხში ებრაელების როლი. რიგ ნაწარმოებში წარმოდგენილი ინფორმაცია გარკვეულ წილად სცილდება მხატვრული ნაწარმოების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და იძლევა სურამის ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას, რაც მტკიცებულების დატვირთვას იძენს.

[20] შპს „ურბანიკა“, დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, სტრატეგიული გარემოს დაცვითი გეგმა, თბილისი, 2020წ., გვ.5

[21] იქვე, გვ.27

[22] ისრაელში გამოიცა სიმა ჯანაშვილის ოთხი წიგნი:“ცხრამეტი წერილი მეგობრებს და ერთი...“, 1995; 2002 წელს „ვარდის ფურცლობა“ და ბოლო ორი წიგნი 2004 წელს.

დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. ანთაძე, კ. *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში.* თბილისი, 1973.
2. გულედანი, ლ., ენოხი რ., ..., ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, ებრაელები საქართველოში: ისტორიულ - ლიტერატურული წიაღსვლები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2022.
3. *დემოგრაფია, სახელმძღვანელო.* ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
4. თოთაძე, ა. *საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.* უნივერსალი, თბილისი, 2009.
5. კრიხელი, ი. *სურამული სიზმარ-ცხადი.* თელ-ავივი, 2017.
6. *მენორა*, #5(199), მარტი11-19, 2005.
7. პაპისმედოვი, ი. საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიიდან. *საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები*, ტ.3. თბილისი, 1945.
8. შპს „უბანიკა“, დაბა სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, სტრატეგიული გარემოს დაცვითი გეგმა. თბილისი, 2020.
9. ჩიქოვანი, ნ., ჩხაიძე, ი., ..., *იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-19180).* თბილისი, 2014.
10. ჭიჭინაძე, ზ. *ქართველი ებრაელები საქართველოში.* თბილისი, 1904.
11. ჯავახიშვილი, ივ.. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIIIსს., ჟურნალი „*პრომეთე*“, #1, 1918.
12. ჯაოშვილი, ვ. *საქართველოს მოსახლეობა XVIII- XIX საუკუნეებში.* თბილისი: მეცნიერება, 2008.
13. ჯანაშვილი, მოსე. ჟამი ძიებისა და განსჯისა - CORE .
chrome- extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://core.ac.uk/download/pdf/15532825.pdf
14. https://scroll.ge/21376/ardashel-thaqthiridze-alia/